

## როგორ ჩავაბაროთ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე საქართველოში

პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელია Apply SDSU-ს ადრეული რეგისტრაციის პროგრამით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები პირობით ჩარიცხებიან სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში და მოიპოვებენ 100%-მდე თანადაფინანსების შესაძლებლობას.

SDSU-საქართველოს პროგრამებზე მიიღებიან სტუდენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში, შემდეგ საგნებში დადგენილ კომპეტენციის ზღვრებს გადალახავენ:

- ზოგადი უნარები - 40%+1
- ინგლისური ენა - 75%+1
- მათემატიკა - 50%+1
- ფიზიკა - 40%+1
- ქიმია - 50%+1
- ბიოლოგია - 64%+1
- ქართული - ერთიანი ეროვნულ გამოცდებით განსაზღვრული კომპეტენციის მინიმალური ზღვარი

## სწავლის ღირებულება და ფინანსური დახმარება

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის ღირებულება წელიწადში 7500 აშშ დოლარს შეადგენს. უნივერსიტეტი ყოველ წელს გასცემს მრავალრიცხოვან სტიპენდიებს და სტუდენტებს თავაზობს 25%-დან 100%-მდე თანადაფინანსებას.

## გაცვლითი პროგრამები

SDSU-საქართველოს სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ერთი სემესტრით ან ერთი წლით სწავლა განაგრძონ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კალიფორნიის კამპუსში. სტუდენტები ამ შემთხვევაში გადაიხდიან სწავლის იმავე საფასურს, რასაც საქართველოში.




**დარეგისტრირდი!  
მიიღე პირობით  
ჩარიცხვის და  
100%-მდე  
თანადაფინანსების  
შანსი!**

### საკონტაქტო ინფორმაცია:

მ. კოსტავას 5, თბილისი, 0108, საქართველო; ტელ: +995 (32) 2 311 611  
E-mail: [Georgiainfo@mail.sdsu.edu](mailto:Georgiainfo@mail.sdsu.edu)



 [SDSU.Georgia](https://www.facebook.com/SDSU.Georgia)  
[www.georgia.sdsu.edu](http://www.georgia.sdsu.edu)

პროექტი ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპეტის ფინანსური მხარდაჭერით.



# სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ დარგებში, საქართველოში საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური დარგების განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების მიზნით. კურსდამთავრებულები მიიღებენ ამერიკულ დიპლომს.



## სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო

### საბაკალავრო პროგრამები

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრამები ხორციელდება საქართველოს სამ სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით: ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. SDSU საქართველო გთავაზობთ შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს:

- სამშენებლო ინჟინერია (ახალი)
- სამოქალაქო ინჟინერია (ახალი)
- ელექტრული ინჟინერია
- კომპიუტერული ინჟინერია
- კომპიუტერული მეცნიერებები
- ქიმია/ბიოქიმია



აღნიშნული პროგრამები სტუდენტებს მოამზადებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში წარმატებული პროფესიული კარიერისთვის. სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. ლექციებს ატარებენ ამერიკელი და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გადამზადებული ქართველი პროფესორები. პარტნიორ უნივერსიტეტებში გარემონტდა და შეიქმნა ახალი ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ უახლეს ტექნოლოგიებთან და ლაბორატორიებთან.

### სამშენებლო ინჟინერია



SDSU-ს სამშენებლო ინჟინერიის პროგრამა სამშენებლო სექტორსა და უნივერსიტეტს შორის ერთობლივი მუშაობის შედეგია. ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და ეფექტიანი სამუშაო ძალის მომზადება.

პროგრამის მახასიათებლებია:

- ძირითადი საგანმანათლებლო კურიკულუმი, რომელიც სამშენებლო ინჟინერიის და სამშენებლო სანარმოთა მართვის თეორიაზე და პრაქტიკაზეა ფოკუსირებული.
- ზოგადი განათლების მოდული, რომელიც ხელს უწყობს პროფესიონალის მოქალაქეობრივი როლის გაცნობიერებას და კრეატიული და ინტელექტუალური აქტივობების წამოწვევას.

სამშენებლო ინჟინერია საკმაოდ ფართო შინაარსის პროფესიაა, რომელიც მოითხოვს ბალანსს ტექნიკურ მხარეებსა და საზოგადოებრივ საჭიროებებს შორის. სამშენებლო სფეროში ჩვენი ცოდნა ეფუძნება წარსულ გამოცდილებას.

### სამოქალაქო ინჟინერია

სამოქალაქო ინჟინერია სწრაფად მზარდი პროფესიაა, შესანიშნავი კარიერული შესაძლებლობებით. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამა მრავალფეროვანი, საინტერესო და მოქნილია. ინჟინერის სამუშაო უმთავრესად ინტელექტუალური, ცვალებადი და ნაკლებად რუტინულია, ამიტომაც, SDSU-ს პროგრამა საქართველოში ფოკუსირდება ზუსტ მეცნიერებებზე, მათემატიკასა და ინჟინერიაზე. პროგრამა მოიცავს სოციალურ და ჰუმანიტარულ მიმართულებებსაც, რადგან სამოქალაქო ინჟინერიის კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ საკუთარი გადაწყვეტილებების სოციალური და ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება.

### ელექტრული ინჟინერია

ელექტრული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა გთავაზობთ სასწავლო კურსებს შემდეგ სფეროებში: ინფორმაციის გადამუშავების და გადაცემის მანქანები, ელექტროენერჯის გამომუშავება და განაწილება, ელექტრომაგნიტური ფენომენის შესწავლა და გამოყენება.

სწავლის დროს თეორიულ და პრაქტიკულ საინჟინრო პრობლემებზე მუშაობა ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიული უნარების განვითარებას. სასწავლო გეგმის მიზანია მილნიოს თეორიისა და პრაქტიკის შორის ისეთ ბალანსს, რომელიც მოამზადებს კურსდამთავრებულებს სწრაფი დასაქმებისთვის და ასევე, სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისთვის.



### კომპიუტერული ინჟინერია

კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა გთავაზობთ კომპიუტერებისა და სხვადასხვა ტიპის ციფრული სისტემების შექმნისა და აწყობის შემსწავლელ კურსებს. აღნიშნული კურსები მოიცავს ისეთი რთული სისტემების შესწავლას, რომელთა საშუალებითაც ხდება ფიზიკური სისტემებისა და გარემოთა სიმულაცია, ამინდის პროგნოზირება, ავიაბილეთების დაჯავშნა, ასევე მიკრო და ნანო რეგულატორების მოხმარება ავტომობილებში, ტექნიკაში, კამერებში, რობოტებში, სამედიცინო ინსტრუმენტებსა და სხვა მონაცემილოებებში.

კომპიუტერული ინჟინერია ასევე ქმნიან და შეიმუშავებენ პროგრამებს, რომლებიც აკონტროლებენ კომპიუტერების მუშაობას და შესაძლებლობას იძლევიან შესრულონ სხვადასხვა ტიპის ინოვაციური ამოცანები.



### კომპიუტერული მეცნიერებები

საბაკალავრო პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში სტუდენტებს არა მხოლოდ ტექნიკის ცოდნას შესძენს, არამედ თანამედროვე კომპიუტერული მეთოდოლოგიისა და პროგრამირების პრაქტიკის ფუნდამენტურ გაგებას. კომპიუტერული მეცნიერებები მოიცავს სპეციალობებისა და გამოყენების სფეროების ფართო სპექტრს, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, რობოტები, გრაფიკა, სისტემების პროგრამირება, სიმულაცია და კომპიუტერული ქსელები.



### ქიმია/ბიოქიმია

საბაკალავრო პროგრამა ქიმია/ბიოქიმიაში მოიცავს ანალიზურ, არაორგანულ, ორგანულ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ქიმიას. SDSU-ს საბაკალავრო პროგრამა შეისწავლის თითოეული სფეროს საფუძვლებს ლაბორატორიულ ვლევასა და ქიმიის პრაქტიკულ გამოყენებაზე აქცენტით.

ქიმიის შესწავლას მივყავართ საინტერესო და წარმატებული კარიერისკენ ისეთ სფეროში, როგორცაა ფარმაცევტული პროდუქციის განვითარება, ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიება, ახალი პროცესებისა და პროდუქტების შექმნა, ნივთიერების აგებულების შესწავლა, ნატურალური პროდუქტების იდენტიფიცირება და დახასიათება, ეკოლოგიური პრობლემების შეფასება, თუ ცოცხალ უჯრედებში მიმდინარე პროცესების კვლევა.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის/ბიოქიმიის პროგრამა სერტიფიცირებულია ამერიკის ქიმიის საზოგადოების მიერ (ACS).

